# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 24 ივლისს.**

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა ივლისის 30 რიცხვს, შუა დღეს, გამგეობის თანადასწრებით ვაჭრობა იქნება დანიშნული განცხადებათა 50-ის ბოძის იჯარით გაცემისა და სამის წლის ვადით ამ ბოძებზე განცხადებათა გაკვრის უფლებისა.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, პირობათა შეტყობა შეუძლიან გამგეობის კანცელარიაში, ყოველ-დღე დილის $8^1/_2$ საათიდგან, ნაშუადღევის $1^1/_2$ საათამდე. (3—99—2)

## ახალი ამბავი

*** გორის მხრის ავაზაკთა შეპყრობის დროს დაჭრილი ფალავა, როგორც ნათქვამი გვქონდა, ტფილისში ჩამოიყვანეს და ტფილისის საქალაქო ქსენონში დააწვინეს ჭრილობის მოსარჩენად. იმ დღესვე, როცა ავადმყოფი ქსენონში მოიყვანეს, ფალავას სანახავად მისულა ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი. ჩამოყვანის მეორე დღეს დოსტაქარს ბ-ნს როზენბაუმს ფალავასათვის ოპერაცია გაუკეთებია და კარგადაც მოსვლია. ბ-ნს როზენბაუმს იმედი აქვს თურმე, რომ თავ. ფალავა სრულიად მორჩებაო.

*** ჩვენ მოგვივიდა ცალკე გამოცემული პაწია წიგნაკი მოსე ჯანაშვილისა „საუნჯე მეათე საუკუნისა“, რომელიც ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში იბეჭდებოდა ფელეტონად. იმ წერილს ეხლა დართული აქვს იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათი და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშები. წიგნაკი ლამაზად არის გამოცემული და ჰღირს ერთი აბაზი.

*** საფილოქსერო კომიტეტმა ჯერ კიდევ ზამთარში გამოიანგარიშა, საით უნდა წასულიყო საზაფხულოდ და რამდენი ხარჯი დასჭირდებოდა ვაზის სენის წინააღმდეგ საბრძოლველად. კომიტეტის განკარგულებაში იყო ხუთი დასი ფილოქსერის გამომკვლევთა ქუთაისის გუბერნიაში და სხვა ადგილებში ვაზის სხვა-და-სხვა ავადმყოფობის საძიებლად. როგორც მკითხველებმა უწყიან, მაისში ჩვენს ქალაქში ჩამოვიდნენ, სამიწად-მოქმედო დეპარტამენტის განკარგულებით აკადემიკოსი კოვალევსკი, ოდესის უნივერსიტეტის პროფესორი მელიქიშვილი და გამოჩენილი ენთიმოლოგოსი პორჩინსკი, რომ საფილოქსერო კომიტეტის დახმარებით აღმოეჩინათ ჩვენის ქვეყნის ვაზის მტერის საბრძოლველად რაიმე ღონე და საშუალება. ამათ საჭიროდ სცნეს კიდევ სამის დასის შედგენა. ამისათვის კიდევ ახალის ხარჯის გაღება შეიქმნა საჭირო. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ამ ხანებში ვერ გადასწყვიტა კიდევ ახალის ხარჯის გადადება ამ საგნისთვის, მაგრამ ეხლა, როგორც გაზ. „ნოვ. „ობოზრ.“-ეს შეუტყვია, ამ სამინისტროს დაუმტკიცებია, რაც მაისის კომიტეტმა მეცნიერთა თანადასწრებით დაადგინა, და ამ მოკლე ხანში კიდევ სამი დასი ფილოქსერის გამომკვლევთა შეუდგება თავისს საქმეს. ამ გვარად, ხუთის მაგიერ, რვა დასი იქნება ჩვენს მხარეში ვაზის სენთან საბრძოლველად.

*** ჩაეთვლებათ თუ არა სამრევლო მასწავლებელთა თანაშემწეთ სამსახური სახელმწიფოდ ისე, როგორც თვით მასწავლებელთ? ამ საკითხით მიუმართავს ერთს საერო განათლების სამინისტროს საოლქო მზრუნველს და პასუხად მიუღია, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთა თანაშემწეთ სახელმწიფო სამსახურის უფლება არ მიენიჭებათო.

*** საერო განათლების მინისტრი აცხადებს, რომ ის სტუდენტები, რომელნიც უნივერსიტეტის წესების მე-126 მუხლისა ანუ ნახევარ წლის გამოსაცდელ წესდების ძალით უნდა გამორიცხულ იქმნენ უნივერსიტეტიდგან, შეიძლება ხელ-მეორედ იქმნენ მიღებულნი უნივერსიტეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ სამოსწავლო ოლქის მზრუნველნი და უნივერსიტეტის რექტორი იშუამდგომლებს და საერო განათლების მინისტრი ნებას დართობსო.

*** ამ თთვის პირველს რიცხვებში ინგლისის გემით გაემგზავრა ბათუმიდგან რამდენიმე ჩვენის მხრის ებრაელთა სახლობა. სტამბოლში ეს გემი ოსმალეთის მთავრობას შეუჩერებია, რადგან ამ უკანასკნელს დროს აღარ აძლევს თურმე ებრაელებს ნებას რუსეთიდამ პალესტინაში გადასახლებისას.

ინგლისის ელჩმა ოსმალების მთავრობას უსიამოვნება გამოუცხადა გემის შეჩერებისათვის და აცნობა თავისს მთამრობას ლონდონში. ლონდონიდგან ოსმალეთს მოწერილობა მიუვიდა და გემს ნება მისცეს ბოსფორზედ გავლისა. გემი მხოლოდ 60 საათი იყო გაჩერებული და გაემგზავრა ამერიკისაკენ ებრაელების ოჯახებითურთ.

*** საქალაქო გიმნაზიისა და პროგიმნაზიის მთავრობა აცხადებს, რომ მომავალში შემდეგი გადასახადია დანიშნული მოსწავლე ქალთათვის ამ სასწავლებლებშიო: სავალდებულო საგნისათვის უფროს კლასებში (IV—VIII) 65 მანეთი წელიწადში, უმცროსს კლასებში (მოსამზადებელად მე-III-მდე) 55 მან. წელიწადში. არა სავალდებულო საგნებისათვის (ფრანგული და გერმანული ენები და ცეკვა) 10 მანეთი წელიწადში [illegible] ველს კლასში.

ამას გარდა მასწავლებლებს მთავრობა უცხადებს, რომ მომავალ წლიდამ პროგიმნაზიაში მე-VI კლასი არსდება და მე-III კლასის მეორე განყოფილებაო. ვაკანსიები მხოლოდ მოსამზადებელს და გიმნაზიისა და პროგიმნაზიისა პირველს კლასებშია.

დრო მოსწავლეთა მიღებისა და გამოცდისა ცალკე იქმნება გამოცხადებული.

*** მოუხშირეს ევროპიელებმა ჩვენის მხრის შესწავლას და ამისათვის ამ უკანასკნელს წლებში ბლომად დაიწყეს ჩვენში ჩამოსვლა ზაფხულობით. ჩვენს მეზობელს ადგილებშიაც ბლომად მიდიან ევროპიელები. აი, ხუთშაბათსაც ტფილისზედ ჩაიარა 12 ინგლისელმა მოგზაურმა, რომელნიც სპარსეთში მიემგზავრებოდნენ სპარსელების ზნე-ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების შესასწავლად.

*** ქალაქის წყალის მილს უფრო და უფრო ემატებიან სახლებში გაყვანის მსურველნი. როგორც გამგეობის ანგარიშიდგან სჩანს, წელს თითქმის ერთი ორად უმატნია ამათს რიცხვს—600-მდე ასულა.

*** არა ერთ გზის გამოცხადებულა ცხენის რკინის გზის ბელგიელთა საზოგადოების შესახებ საჩივარი და, აი, დღესაც კიდევ ერთი. მეტად უჩივიან ამ საზოგადოებას ძველ დამოჟნისაკენ (ორთაჭალისაკენ) მიმავალ ვაგონების დაგვიანებას. ვარანცოვის ძეგლიდგან ვაგონი რიყეს გაივლის და მეტეხის ციხის ძირში მეორე ვაგონში უნდა გადავიდეს მიმავალი. ჯერ თუ გე[illegible] ელოდდო, როდის დაიძვრის: სამიოთხი ვაგონი მოტრიალდება ვარანცოვიდგ-ნ რიყის ლიანდაგზედ, სანამ მეტეხის ძირიდგან ორთაჭალისაკენ ვაგონი წავიდოდეს. სული და გული უწუხს ადამიანს ამ სიცხე-პაპანაქებაში იქ ლოდინით. მერე წარმოიდგინეთ ამ ადგილისა და მისი მიდამოების მეტის მეტი უსუფთაობა: საზიზღარი, გულის შემხუთავი სუნია დაგუბებული აქ დამპალის თევზისა,

## ფელეტონი

### შავი ფიქრები

#### I

ვინ რა-რას ტირის ნეტარა,
ვისი რა ისმის ქვითინი?
მოდის და მოდის დუშმანი,
მთას და ბარს გააქვს ბიბინი,
ჩხარუნებს აბჯარ-აბგარი,
ყურს სჭრის ცხენების ჰიხვინი!
ცეცხლს დაუბუგავ სოფლები,
მიწასთან გაუსწორებავ;
მტერს უჭრავ დიდი, პატარა,
ერთურთზედ აუყორებავ;
სისხლი უსვია და თანაც
მათ ხორცი ჩაუყოლებავ!
მოზღვავებულმა ურჯულომ
აავსო მთა და ბარია,
ხელით და ფეხით გათელა
ქართველთა ამაგდარია,
წაიღო, დაისაკუთრა,
რასაც-კი ხელი დარია!
შავი დრო იყო, შავადამც
ექნება სახსენებელი!
წყეული იყოს ომისა
გამჩენი, მამგონებელი,
ამაოხრები ქვეყნისა,
ქვრივ-ოხრის დამღონებელი!
ბევრი შაგვასვა ცრემლისა
სისხლ-გარეულის ფიალა;
დაგვცა და დაგვაქვეითა,
ცხოვრება გაგვიტიალა...
მაგრამ სრულად-კი ვერ ჩაგვნთქა,
უფალმა გაგვაძრიალა!
ბევრი გვიტირნავ და ბევრი
სატირელიცა გვქონია,
ჩვენი შავ-ბნელი წარსული
ტირილით მოსაგონია...
ძველთა ამბავთა თხრობასა
ეს გული დაუღონია!

#### II

ტირილით ლუკმას ვერ შევჭამთ,
ვერც გზას გავივლით ბნელასა,
ვერც დუშმანს მოვიგერიებთ—
თავს მოვაბეზრებთ ყველასა,—
ვერც შევინახავთ მამულსა,
ნურც ვისგან ველით შველასა,
დაგვძრახავს ჩამამავლობა,
დაგვიწყებს ახზედ წყევლასა!
ზოგმა სთქვა: „გავწყდეთ, თუ მტრისა
ვერ ავიცილეთ ბეგარი“!..
— მტერსაც ეგ უნდა, მტერსაცა,
იმის საგანიც ეგ არი!
ქურდსა ჰსურს, გადაიკარგოს
ძაღლი კარებზედ მყეფარი,
მერე რომ ჩვენი ქონება
წაიღოს თავის ნებაზედ,
დაჰტოვოს აშენებული
სახლი ეშმაკის მცნებაზედ!
ქარი რო ჰბერავს, პეპელა
ველარა ჰბედავს ფრენასა;
თუ გაფრინდება, მიჰხვდება
სულის და გულის წყენასა;
დაჯდება ჩუმად ყვავილთან,
დაიწყებს ბედის წყევლასა...
პატარა, სუსტის მხრებითა
არ ელის ქარის ძლევასა!

#### III

დიდი ხანია გახუნდა
მინდორი ყვავილიანი,
დიდი ხანია ჩამოსჭკნენ
გულის გამთბობნი იანი,
დიდი ხანია ქანაობს
ყანა ფხა-სინათლიანი,
დიდი ხანია ბანს აძლევს
„ჰოპუნას“ ნამგლის ჟღრიალი.
ველარა ჰნახავთ მდელოსა
წინანდლებრ ზიზილიანსა,
ველარც ზურმუხტით მორთულსა
წყლის პირსა, მინდვრის ლიასა,
ველარც მეუღლის მძებნელსა
ირემსა ლაზათიანსა,—
მთაში მიურბის სიცხესა,
ხარბად სვამს მთების ნიავსა.
ველარ გაუძლო სიცხესა
მა ჩახრიალა წყარომა,
მთის შვილმა, მთების ნაჟურმა,
უმანკო, უსახლ-კარომა;
მზემ მაიპარა, ტიალმა,
ტაროსმა უავდარომა.
გულს ვერ გაუღბობს ლამადე *),
ბარიდამ ამონადენი,
ვერც სიო, გრილი ნექტარი,
მთის წვერით ჩამონაბერი,
ვერც კიდე ყვავილიანი,
მარგალიტებით ნაფერი!
ბევრსა იტირებს ერთგული,
დამრჩალი ოხერ-ტიალად—
ვაჰმე, ერთგულის ცრემლები,
გულს დააჩნდების იარად!—
ველარას უშველს წამალი,
ველარც ხმელეთი ციანად!

*) ნისლი, ხევსურები ხმარობენ.

სოფელმა დამწვა, სოფელმა,
მომიდვა ცეცხლის გენია!
ბევრი მომელის ცრემლები,
ბევრი, და ბევრიც მდენია,
მაგრამ არ იქნა, მკურნალი
მე არსით გამომჩენია!
ვაჰმე, რა სატირელია
ეს ჩემთვინ დიდი საგანი,
ათი-ათასის წლებითა
სისხლით და ცრემლით ნაბანი...
უშენოდ მიწამც ჩამამშლის,
ლოდიმც მექმნება საბანი!
თვალნო, იტირეთ, ცრემლებო,
ეგებ ეს გული დალამოთ!
ცაო! შენ იცი წამალი,
შენა გაქვს ჩვენი მალამო,
მაგრამ არ გვიჩენ, არ გვაძლევ,
არ ვიცი, ვისთვის ჰმალავო!?
დავჯდები დაღონებული,
ცრემლები მამერევიან,
წამოვლენ სისხლის რუები,
ტანჯვის ზღვას შაერევიან...
თან მიაქვს სული და გული,
რა-კი ვერ მაერევიან.
რა-კი იშფოთებს მღელვარე,
სადაც ეს ტანჯვა მდგარიყო,
კალამს ხელს ვკიდებ, ეგები

სხვა-და-სხვა ხორაგეულისა და ყოველის სიბინძურისა და ნარეცხისა, რომელსაც ქუჩაში ღვრიან.

არა თუ მარტო აქ, ვიდრე მირზოევის ქარხანამდე სიბინძურის სუნით სავსეა არე-მარე და ჰშხამავს ჰაერს. რა თქმა უნდა, დიდი გავლენა ექმნება ამ სიდამპლეს ჰაერისას მცხოვრებთა ჯანმრთელობაზედ და საჭიროა, დროზედ ღონე იღონონ ამ ადგილში სისუფთავის დასამყარებლად.

---

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

კეთილსა მოვლინებასა ვხედავთ
ამისას შრომითა;
აზრის, გონების მუშაკი სწერს ამ
დროს გზის მიხედომითა,
ტვინის მოსაქმე, არ ჰკარგავს ერთს
წუთსაც ცუდ-განცხრომითა,
ოხრად ნიჭს არ ჰლევს ზოგივით წალმა-
უკულმა ხტომითა.

---

## ნამცეც-ქიცმაცი

—

ფოთში დიდი შფოთია. იქაური მანდილოსან-კუდოსანნი დიდს ფერუმარილის ლესვასა და შუშტაკის სახეზედ გადასმაში არიან. სარკე სახეს არა ჰშორდება და სახე—სარკეს. მახინჯსა და დუხჭირს, თუნდა უკვე გათხოვილიც იყოს და შვიდი-რვა შვილის დედაც, ეხლა გახსენებია თავისი უბედურება და ეხლა დასტირის თავისს მწარე ხვედრს. რა მოხდაო? იკითხავთ. დიდი ამბავი: ფოთში ამ [illegible] დედათა სილამაზის ჯიბრია დანიშნული. აქამდე თუ ათსა და ოცს შორის იყო ცილობა, არა, მე ვარ სილამაზისა და მშვენიერების მეფა, და არა, მეო, ეხლა წილის ყრით ერთს ერგება „ვაშლი შფოთისა და ამბოხისა“ ფოთელ ფაფანიკიან პარისისაგან და იმას ველარავინ შეეცილება, ველარავინ შეეტოლება და შეესწორება.

შესაჯიბრებელად ოც-და-ერთი ქალია ამორჩეული, რომელთ შორის გაუთხოვარიც არის, გათხოვილიც და დაქვრივებულიც. ამათში, რაღა თქმა უნდა, ის გაიმარჯვებს, ვინც უფრო დიდის ხელოვნებით გადაისვამს შუშტაკსა და ფერ-უმარილს პირზედ და უფრო ძალიან მოიჭერს წელის მუხრუჯს, გარმიანულად „კორსეტად“ წოდებულს, რომლის წყალობითაც ჩვენი ქალები ხუთ შაურიანს შამაიას დაემსგავსებიან ხოლმე და ისე გაჭირვებულნი არიან, რომ ველარც ჭამა შეუძლიანთ, ველარც თავისუფლად დაჯდომა, და დახრა ხომ ისე უძნელდებათ, რომ, ფულის ქისაც რო დაუვარდეთ დედამიწაზედ, იმის აღებასაც ვერ შეიძლებენ.

ვინც გაიმარჯვებს ამ ჯიბრში, იმას, ვაშლის მაგიერ, ძვირფასი თაიგული უნდა მიართვან, ასე რომ ამ თაიგულს ეხლავე შეიძლება ეწოდოს „სილამაზისა, ანუ შფოთისა და ამბოხის თაიგული“. წარმოგვიდგენია, რამდენს ეზმანება ეხლა სიზმრად ეს თაიგული, მიატანს ხელს, მაგრამ გამოიღვიძებს და უნუგეშოდ მიატარმოატარებს თვალებს. ვგონებ ორასის ათასის მანეთის რგება ისე არავის ესიამოვნოს, როგორც ამ თაიგულისა, რომლის გამოც ეხლა ფოთელს „ლამაზებს“ ძილიცა აქვთ დაკარგული, მოსვენებაც, და რომელიც ღამეცა და დღეც თვალებში ელანდებათ. ვის-ღა ახსოვს ან ქმარი და ან შვილი, შინაც თაიგული ისმის, გარედაც თაიგული, ეს სილამაზის დასადაფვნელი გვირგვინი.

ვუსურვებთ, რომ ფოთელ ქალებს ოც-და-ერთსავე მიეღოს ეს ჯილდო და ოც-და-ერთსავე გაეთქვას სახელი ლამაზისა მთელს სამეგრელოში, ისეთის სახელის განთქმისა და ჯილდოსაგან-კი ღმერთმა დაიხსნას, არა თუ [illegible], და მერე ისიც ლამაზს ქალს!—არამედ ყოველი კაციც-კი, როგორც განითქვა სამეგრელოს განმანათლებელმა (?) აშორდიამ და როგორი ჯილდოც ამას წინად ერთმა მისმა მოციქულთაგანმა მიიღო.

**

ამ „დიდებულ ლინგვისტის“ აშორდია-გამშორდიას ერთს მოციქულთაგანს, ვინცხა ბ-ნს ქობალიას, მართლა რომ ცუდი ჯილდო ჰხვდა და არ იქმნა „წინასწარმეტყველად შერაცხულ სოფელსა შინა თვისსა და სახლსა შინა თვისსა“, როგორც მოსალოდნელიც იყო. განწურთვნა უნდოდა უვიცის ადამიანისა და „მემასაქეს“-კი, ჩვენებურად მექისეს, წააწყდა თავს. ერთის სიტყვით, სწორედ იმ ანდაზისამებრ დაემართა, რომ „არას მომცემო და ყბასაც მომტეხო?“

ეს ქობალია რკინის გზის ერთს სადგურზედ ჩამოვიდა, სადგურის მესასტუმროეს შეხვდა და თავაზიანად დაეკითხა:

— მეგრელი ბრძანდებით?

— მეგრელი გახლავართ.

— მაშ მეგრული წერა-კითხვაც გეცოდინება? (აბა მარგალური ჭარვა და კითხვაც გაჩქვენუაფუ?)

— სამწუხაროდ, არ ვიცი. გამიგონია-კი, არისო, მაგრამ არ მინახავს.

— თუ გნებავთ, მე დაგიწერთ, თქვენც ისწავლეთ და სხვასაც ასწავლეთ. მშვენიერი ასოებია, უკეთესი არ მოხერხდება (უჯგუში ვეშალებინე).

— დიდად დაგიმადლებთ.

მესასტუმროემ შეიპატიჟა თავისს ოთახში მატარებლის წასვლამდე და ქობალიამაც ხელი მიჰყო მეგრულ ასოების წერას.

— კაცო, ეგ რა მეგრული ასოებია, ეგ ხომ რუსულია, ბრმა ხომ არა ვარ!

— რუსული-კი არა, ახალი მეგრული ასოებია.

— ჯვარი აქაურობას, რას უბნობ, ბოშო! შეშლილი ხარ, ვინცხა ხარ, თუ ჩემი მოღორება გინდა. შენი მოსატყუებელი და დასაბრიყვებელი სახლში გეყოლება.

მესასტუმროე გაანჩხლდა და შეუკურთხა. ძალიად მაცხონემ მაგიერი უთხრა და... აირია მონასტერი. შეგირდმა მასწავლებელს ჯერ ყვრიმალსა ზედა სცა, მერე ფერხთა ქვეშე მოიგდო და ისე დაზილა, რომ თქვენი მოწონებული. ამ ერთის მიერ მეორის ზელვაში მატარებელმა დაუშტვინა და გაჰქუსლა, შერჩა ნაცემი მცემელს ხელში და მადლს, რაღა თქმა უნდა, მარილიც მოაყარა: რაც აკლდა, ისიც შეუვსო და შეუსრულა.

**

თუმცა ასეთს პატივში არიან სამეგრელოს განმანათლებელნი, მაინც იმათი უკუღმართი „კირილ-მეთოდობა“ თავისს დაღს ასვამს მეგრელებს და უკვალოდ არა რჩება. უსულო მძოვრიც-კი, სადაც ეგდება, იმ ადგილს თავისს ნიშანს დაატყობს ხოლმე და აშორდია თავის მოციქულებითურთ ხომ სულდგმულნი ადამიანნი არიან! აი ერთი მაგალითი იმათის საუკუღმართო მოღვაწეობის გავლენისა:

სენაკში ერთს მოხუცებულს ადამიანს გიმნაზიაში სწავლა დამთავრებულს ქალებს უქებდნენ:

— კარგის ვარენიას (მურაბის) კეთება იციანო.

— ვაჲო, რა დაგემართათ, სულ „ვარენია“, „ვარენია“... მამულს ის ურჩევნია, რომ „ქორენია“ გააკეთონ ქალებმაო, სთქვა დარბაისულმა მანდილოსანმა.

„ვარენია“ მეგრულად ჰნიშნავს—ჰჲ არის, „ქორენია“—ჰრის.

„ვარენიად“ იყოს უკუნითი უკუნისამდე აშორდიას ხსენება!..

დუშიკო

---

## წერილი დაღესტნიდგან

(დასასრული. იხ. „ივერია“ № 153)

ვენახის მოშენება დარუბანდში დღეს ისეა გაძლიერებული, რომ, თუ ხელი არ შეუშალეს, ქალაქს ეკონომიურად აღაყვავებს. ქალაქის საზღვარში ვენახს უჭირავს თითქმის 30,000 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. შარშან (1890 წ.) ქალაქმა დასწურა 256,250 თუნგი ღვინო, რომლიდგანაც ქალაქს გარედ გაჰგზავნა 99,360 თუნგი—29.800 მანეთისა. ღვინოს გარდა, ყურძნის ჭაჭისაგან გამოჰხადა არაყი 25,140 ვედრა (არაყი ქალაქს გარედ არ გააქვთ გასასყიდად). ვენახის შენებას მისდევენ აქ სომხები, რუსები და ურიები. თათრებს თუმცალა აქვს ვენახი და ბაღები, მაგრამ შედარებით ძლიერ ცოტა და არც ისე კარგს მდგომარეობაშია ამათი ვენახები, როგორც სხვებისა. ამისი მიზეზი ის არის, რომ თათრებს ხელს არ აძლევს ვენახის შენება, რადგანაც „შარიათი“-ს ძალით მუსულმანები ყურძენს ვერც ღვინოდ გააკეთებენ და ვერც ქრისტიანებს მიჰყიდიან. ამ ფანატიკობას უნდა მიეწეროს ისიც, რომ დარუბანდელი თათრები შედარებით სხვა აქაურს ხალხთან ღარიბები არიან: ხშირად თავიანთ მიწა-წყლებს ნახევარ ფასად ჰყიდიან და დილიდგან მოკიდებული საღამომდე ერთ აბაზად მუშაობს თათარი რომელისამე ვენახის პატრონ სომხის, ან რუსის ბაღში.

მე თვით დავათვალიერე წარსულ მაისის და მდგომარე ივნისის თვეებში დარუბანდის ვენახები და სწორედ გითხრათ, მშვენიერი სანახავია ოციოცდა-ხუთი ვერსის სიგრძეზე გაჭიმული ვენახი. რომელ ჯიშის ვაზი გინდა, რომ აქ არ იყოს: ფრანგული, იტალიური, ამერიკული და ადგილობრივი, ყველა გაუშენებიათ. აგერ-ეგერ უჩენიათ თავი ვენახზე სოკოს—მილდიუს ჾ ოიდიუმს (ნაცარს), რომელსაც აქაურები „სიელას“ ეძახიან. გარდა ამისა, კიდევ რაღაც ერთგვარი ჭია გაჩენილა ზოგიერთს ვენახში (გურიაში ამ გვარ ჭიას მუხლუსას ეძახიან). ყოველ-გვარს ღონისძიებას ჰხმარობენ ვენახის ჭირის წინააღმდეგ და ამიტომ არის, რომ აქაურ ვენახებისთვის შესამჩნევი ზიანი ვერ მიუცია ვენახის ავადმყოფობას. წარსულს მაისსა და ივნისში კავკასიის მეხუთე საფილოქსერო დასმა, აგრონომის ტიმოფეევის თაოსნობით, გასინჯა დარუბანდის ვენახები და სთქვა, რომ ამ ვენახებში ფილოქსერა არ არისო. ღვინო საკმაოდ კარგი დგება აქაურის ყურძნისა. ადგილობრივ 90 კაპეიკიდგან 1 მან. და 20 კაპ.-მდე ღირს სამი თუნგი. ყურძნის დასაწურად აქ სამი ქარხანა არსებობს (ორი კერძო კაცისაა და ერთი ამხანაგობისა). 1890 წელს ამ ქარხნებში დაიწურა 300,000 მეტი თუნგი ღვინო და არაყი. ზოგიერთ ვენახის პატრონს თავიანთს ვენახებში გვარიანი კარგად მოწყობილი სარდაფები, ქვის სახლები, მოსარწყავი თხრილები და სხვა საჭირო ხელ-საწყობი აქვს. მხოლოდ თათრების ვენახები-კი, როგორც ზემოდა ვსთქვი, ცუდს მდგომარეობაშია: ჰნახავთ, რომ რომელსამე მემამულის ბაბაევის, ან რუსის კაჩერგინის ვენახი გადაჭიმულა ორას

---

ქალალდზე რამე გარიყოს...
იმედი მატკბობს, იმედი,
თუნდა სიცოცხლეც არ იყოს!

IV

ღმერთო, შე ტანჯულთ იმედო,
ღმერთო, შე დამწვართ მარაო,
ბედკრულთ, უმწეოთ, დაჩაგრულთ
წმინდა კალთებით მფარაო,
შენ ჰხედავ წუთის-სოფელსა,
სიცოცხლე შენა გბარაო,
გვიშველე, ცეცხლი გვედება,
გვიშველე ხმელთა კარაო!
ლოცვას სიწმიდე მიმიეც,
ტანჯვაო დაუთვალაო!!
მომეც ჭკუა და გონება
დიდი და დაულალავი,
ენა—ცეცხლი და ლახვარი,
უვალზედ გზათა მღარავი,
ლხენაში ტკბილი, ტანჯვაში—
სასტიკი, შესაზარავი!
ლექსთ წყარო—სპეტაკ-ნარნარი,
აზრთ რიცხვი—დაუთვალავი,
გული—წმინდა და მაღალი,
ტანჯულთ თავ-შესაფარავი!
მომეც ძალა და შეძლება,
მივეცე ალმაფრენასა,
მეც ერთხელ დავწაფებოდე
ნიჭსა და მადლსა ზენასა.
ტანჯვის თქმა, გულის გამგმირი,
მოჰმადლე ამ ჩემს ენასა,
ტანჯვისვე სრულად შესმენა
მოჰბერე დახშულს სმენასა!
ყვავილის ჩურჩულს, წყლის ჩუხჩუხს,
ფრინველთ საამურს სტვენასა,
ცის განრისხებულს გრგვინვასა,
შავ ღრუბელთ უგზოდ დენასა,
ნიავის ალერსს, შტოების,
ერთურთზედ გადახვევნასა,
ცის და ხმელეთის ერთობას,
მათს საიდუმლოს ყველასა—
ვუსმენდე აღტაცებული,
შევსტრფოდე გრძნობა-მრავალი,
ჩემს საიდუმლოდ ხდებოდეს
მათი თავ-გადასავალი!

V

ტიალი წუთი-სოფელი
სიტკბოთ მან გაატარაო,
ვინაც ამ სოფლის ავ-კარგი
გულზედ არ მიიკარაო,
სიტკბო ჭამა და ბოლოსა
პირი არ ჩაიმწარაო...
ვინც-კი ეცადა, რომ ყველა
ჭკუაზედ დაემყარაო,
თავი უძებნა საგანსა,
ბოლო არ დაუფარაო,
სადაც ვერ მისწვდა მის თვალი,
გონება მაიხმარაო,
თვალის წინ საგნად დაიდო
სიცოცხლის გამოცანაო,—
ის მხოლოდ ჭირსა ხვდებოდა,
ჯანს ჰლევდა თანდათანაო,
ბოლოს ან თავი მოიკლა,
სიცოცხლე ჩაიშხამაო,
ან ჭკვაზედ შესცდა და ეხლა
დაჰბღუის კარის-კარაო.
არ იქმნა, ჭკუათ-მყოფელი
ბედმა არ შეიყვარაო.
მე-კი ან უნდა დავირჩო
ცხოვრების ერთ-გვარს დენაში,
სული ამომძვრეს მთელ-მკვდრებთან,
მათთან სმასა და მღერაში!
ან უარსა ვყოფ სიცოცხლეს,
სიკვდილს დავუწყებ მზერასა,
ყელს გამოვიჭრი და მითი
გადვიხდი ბედის წერასა...
სიკვდილ-სიცოცხლის შუაზედ
ვერ შევძლებ დროშის ჭერასა!

VI

მეც შავი მაცვავ ტანზედა,
ვითვლები მგლოვიარებში;
დღე ყოველ სიკვდილს ვუცქერი,
არ შრების ცრემლი თვალებში!
ვინ იცის, ჩემი იმედი
რომელ მთის წვერზედ შაჯდება,
ვინ იცის, კიდევ ჩამოვა,
თუ იქ დარჩება-მოკვდება?!
ვინ მეუბნებით: „ბედ-მწარევ,
რა გაქვსო სამგლოვიარო!
წინ ორი გზა გაქვს და უნდა
ან ერთით, ან სხვით იარო,
თუ სიცოცხლეს ჰგმობ, სიკვდილი
ხომ უნდა გაიზიარო“.
— მეც მაგას ვტირი, რომ ვიცი,
რაც არის საფლავს მწოლელი:
სამარე, სტუმართ-მოყვარე,
მათ გულისათვის მშრომელი;
ჭია, მსახური მიწისა,
კაცის გულ-ღვიძლში მძრომელი;
ზედ ცრემლი გულის სატრფოსი,
ულევი, დაუშრობელი!
სიცოცხლე სრულებ სხვა არის,
სხვა რიგ, სხვა წესით მდინარე,
ჭირი და ლხინი ორივე
წაძღოლილი აქვს წინარე,
ჭირსა სძლევს ლხინის ლოდინით
იმედი შორად მძინარე;
ლხინს ზომას აძლევს სიკვდილი,
კაცთ გონებაში მძინარე!

VII

მივნატრი იმას, ვისაც აქ
სახელი შეუძენია,—
ზეცას მეორე სიცოცხლე
იმისთვის გაუჩენია!
ნეტავი იმას, რომ მუდამ
მის გზას ნათელი ჰფენია;
დიდი და წმინდა სამკვიდრო
კაცთ გულში აუშენია,—
ვერც დაჰშლის ცივი სიმარე,
ვერც დასწვამს ცეცხლის გენია!
ნეტავი იმის წალკოტსა,
ხე უდგა გაუხმობელი;
რწყავს უკვდავების ნაკადი,
სულ მუდამ დაუშრობელი;
უნათებს წმინდა სანთელი,
დრო-ჟამის დაუქრობელი!
ის-კი რა მისანატრია,
ვინც მიჰყვა ცრუსა მცნებასა,
ვინც იმით გატაცებულმა
მყობადი გაიბედნასა!

თ. რაზიკაშვილი

დლიურს მიწაზე, შიგ მებაღეები, დარაჯები და მუშები სულ თათრები არიან; ვენახი მშვენიერად არის გაწმენდილ-გათოხნილი და იქვე, ამ დიდის ბაღის გვერდით, საცოდავად გამოიყურება ორს ან სამ „ყაფან“ (600 ოთხ-კუთხი საჟენი) მიწაზე ბალახ-ბულახით სავსე გაუწმენდელი რომელისამე ქერბალაი თათრის ვენახი.

— რად არის ასეთს ცუდს მდგომარეობაში თქვენი ვენახები; რატომ უფრო მეუყაითად არ ეკიდებით ყურძნის მოყვანას?—ვკითხე ერთს თათარს.

— ხელს არ გვაძლევს და იმიტომაო. მიპასუხა თათარმა.

— სომხებს, რუსებსა და ურიებს თუკი აძლევს ხელს, თქვენ რაღა დაგმართვიათ?

ისინი ღვინოდ სწურავენ თავიანთს ყურძენს და ჩვენ-კი შარიათი გვიბძანებს, ღვინო არ ვაკეთოთ და არც ქრისტიანებს მივყიდოთ ყურძენი. ჩვენ ერთი ფუთი ყურძენი 20 ან 30 კაპეიკს მოგვცემს, მეტს არა და, აბა რა ჰკუა იქნება ჩვენის მხრით ყურძნის მოყვანას მუყაითად მოვეკიდნეთ?

ასეთის „შარიათებით“ სარგებლობენ ზოგიერთნი და ნახევარ და მესამედ ფასად აცლიან ხელიდგან აქაურს თათრებს მიწა-წყალს. ერთმა აქაურმა ვენახის პატრონმა რუსმა, გვარად კაპუსტინმა, გვაჩვენა თავისი დიდს მანძილზე გადაჭიმული ვენახი, შემდეგ დაგვანახვა მისის ვენახის მოსაზღვრე თათრების ვენახები და გვითხრა: „ჰხედავთ, როგორ გაოხრებულია? მე ისე ვუყურებ ამათ (თათრების ვენახებს), როგორც ქორი წიწილას. დღეს არა, ხვალ მაინც ჩავიგდებ ხელშიო“. როდის დადგება ისეთი ბედნიერი დრო, რომ ასეთი „შარიათები“ ხალხს ლუკმას აღარ აცლიდეს პირიდგან! წარმოიდგინეთ სიფანატიკე იმ ხალხისა, რომელიც ქრისტიანს ყურძენს ვერ მიჰყიდის „შარიათი“-ს შიშით და ქრისტიანის ვენახში-კი დილიდგან საღამომდე ერთს აბაზად ჰმუშაობს!

ღვინოს გარდა, დარუბანდს გააქვს გასასყიდად სხვა-და-სხვა ადგილას მწვანილი და ხილი. მაგალითად, 1890 წ. დარუბანდიდგან გაიგზავნა 63,480 ფუთი მწვანილი და 36,150 ფუთი ხილი, (ყურძენი, რომელიც 1890 წ. დარუბანდიდგან გაიგზავნა 12,689 მანეთისა, აქ მითვლილი არ არის). დარუბანდის მკვიდრნი სთესვენ პურსა და ქერს, მაგრამ ადგილობრივ მომკილი პური არა ჰყოფნის ქალაქს საკვებად და ამიტომ სხვა-და-სხვა ადგილიდგან შემოაქვს.

გარეგნად დარუბანდი თავისის გარს შემოვლებულის ქვის კედლებით და ციხე-სიმაგრეებით, რომელიც დროთა განმავლობისაგან ალაგ-ალაგ დანგრეულა, და დაბალის ბანიანის ქვის სახლებით ძველს აზიურს ქალაქს ემსგავსება. ქალაქი იწყება ზღვის პირიდგან და ჰყვება ზოლად გვარიანს მანძილზე გორაკის ფერდოს. დარუბანდში ითვლება 2,261 სახლი, 173 დუქანი, 2 ეკკლესია, 18 მეჩეთი (ჯამე) და 3 სინაგოგა. დარუბანდის მცხოვრებთა რიცხვი ქალისა და კაცისა 16,000-მდეა. ამათგან აზნაურია 856, გლეხი—1482, სამხედრო წოდებისა—800 და დანარჩენი მოქალაქენი არიან. სარწმუნოებით ასე განიყოფებიან: მართლ-მადიდებელია 1319, სომეხ-გრიგორიანი — 875, კათოლიკე — 201, ებრაელი—2490 და მაჰმადიანი (შიტი და სუნიტი)—10243. დანარჩენი ეკუთვნის სხვა-და-სხვა სარწმუნოებას. ხალხოსნობით ასე განიყოფებიან: თათარია 676, სპარსელი—8453, ებრაელი—2490, რუსი—620 და სომეხი—413. დანარჩენი ეკუთვნის სხვა-და-სხვა ერს. ეკონომიერად წინა სდგანან სომხები და რუსები. ამათ შემდეგ დარუბანდის მკვიდრნი ებრაელნი. თათრები და სპარსები შედარებით ძლიერ ღარიბები არიან. ვაჭრებს გარდა, აქაური ხალხი მიწის მუშაა. საქიროოდ ქალაქს გარედ იშვიათად გადიან. მიწის მუშაობას აქ ხელს უწყობს ზომიერი ჰავა და გვარიანი ნოყიერი ნიადაგი. ავადმყოფობა, ციების გარდა, აქ იშვიათია. რაც შეეხება ზნეობრივს მხარეს, დარუბანდის მკვიდრნი მშვიდობიანი ხალხია: აგერ ორი თვეა აქა ვარ და ერთხელაც არ გამიგონია, რომ აქ შფოთი და აურზაური რამ მომხდარიყოს. ამ წლის იანვრის პირველს რიცხვს დარუბანდის სატუსაღოში იყო 136 ტუსაღი; რასაკვირველია, უმეტესობა სხვა-და-სხვა სოფლიდგან მოყვანილი. გონებრივს მოძრაობას, ანუ ინტელიგენტურს ცხოვრებას-კი, სამწუხაროდ, ჯერ დარუბანდში თავი არ უჩენია. აქ მეტი არ იქნება, რომ შევნიშნოთ: დარუბანდის მანდილოსნებს, მეტადრე ბალში მოსიარულე „ბარიშნებს“ ცოტა თავდაუჭერელობა ეტყობათ.

სწავლა-განათლებისათვის დარუბანდში არსებობს სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი, რომელშიაც დღეს სწავლობს 121 შეგირდი, საქალო სასწავლებელში 38 ქალი სწავლობს, სომხების სამხედრო სკოლაში 17 ვაჟი და 35 ქალი სწავლობს, ხუთი მაჰმადიანთა სასწავლებელია (125 შეგირდია) და ოთხიც ებრაელთა სასწავლებელი (61 შეგირდი).

დროს გასატარებლად არსებობს დარუბანდში კლუბი და ბაღი, რომელშიაც კვირაში სამჯერ სამხედრო მუსიკა უკრავს.

ე. ნინოშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

მეცნიერნი საზოგადოდ გრძნობას გონებაზედ მაღლა აყენებენ. ყოველივე დიდებული საქმე გრძნობის გაკეთებულია. ადამიანის გამრავლებაცა და თავის დაცვაც უფრო გრძნობაზეა დამოკიდებული, ვიდრე გონებაზედ. ყოველი გმირი თავ-განწირვით მამულის სიყვარულის წყალობითა გმირობს. ასე წარმოიდგინეთ, სახელმწიფო და საპოლიტიკო ცხოვრებაც-კი გრძნობაზეა აშენებულ-აგებული. ქორწინებისა და ოჯახის საფუძველი გრძნობაა და სარწმუნოებაც-კი სიყვარულის ნაყოფია. ამიტომაც გრძნობის აღზრდისათვის გონების აღზრდაზედ ნაკლებ არ უნდა შეიტკიოს ადამიანმა თავი. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს განვითარებულს გრძნობას, ზნეობასაო, ჰქადაგებენ ყველა სწავლული კაცნი. ამასვე ჰქადაგებს დარვინის დიდი მომხრე, კარნერი, რომლის წიგნიც ამ საგნის შესახებ ეხლა-ხან დაიბეჭდა და ეწოდება: „Der moderne Mensch. Verzuche über Lebensführung“-ი. კარნერის აზრით,

ზნეობა საგანი-კი არ არის, საშუალებაა ადამიანის სულიერ კეთილდღეობისა. სულიერი კეთილდღეობა კიდევ იმას-კი არა ჰნიშნავს, რომ წუთიერი სიამოვნება-სიხარული ვიგრძნოთ, არამედ ისა, რომ ადამიანი სულით დამშვიდებული იყოს თავისის თავმოყვარეობის დაკმაყოფილება საერთო სარგებლობით შეიძლოს და თავისავე კეთილშობილება იკმაროს თავისის ღვაწლისა და შრომის ჯილდოდ. ეს ამ ქვეყნიურის ნეტარების საიდუმლო კარგად არის აღნიშნული ხალხის ანდაზაში, რომელიც ამბობს, რომ „სინდის-წმინდა კაცს ტკბილად სძინავსო“. ხოლო რათა ზნეობა ადამიანის სულის თვისებად გადაიქცეს, იმის მეორე ბუნებად, საჭიროა, რომ გონება და გული ადამიანისა თანაბრად იყოს აღზრდილ-განვითარებული.

წიგნის ავტორის აზრით, „გული, ცნობა და გონება“ ერთად უნდა იყოს შეკავშირებული, რადგან ცალიერი ჭეშმარიტება-კი არ გვარწმენს რასმე, მხოლოდ ის ჭეშმარიტება გვარწმენს, რომელიც გრძნობით არის განმსჭვალული და სიყვარულით არის გამოთქმული. თუ თანაბრად არ იქმნა აღზრდილი გრძნობა და გონება, მარტო გონებრივად აღზრდილი ადამიანი მეტად ბევრსა ჰზრუნავს თავისის კერძო ბედნიერებისათვის, თავის მახლობელს არას უმსხვერპლებს და ყველაფერს თავისის სარგებლობის თვალთა-ხედვის ისარით ჰსინჯავს. ადამიანის ზნეობრივად აღზრდის საქმე ოჯახმა, სასწავლებელმა და სახელმწიფომ უნდა გაინაწილონ ერთმანეთში.

ოჯახმა საფუძველი უნდა დასდოს, რომ იმ საფუძველზედ იქმნას აგებული ზნეობრივი აღზრდა ადამიანისა, სასწავლებელმა უნდა ზნეობის შენობა ააგოს, ხოლო სახელმწიფომ დააგვირგვინოს იგი. ყმაწვილს იმ თავითვე უნდა ჩაუნერგოს საზოგადო სარგებლობის გრძნობა. შოპენჰაუერი ამბობს, რომ ყმაწვილი მეტად ბოროტი არსებაო, და მართალსაც ამბობს, რადგან უმეტესობა გრძნობა-გაუნათლებელია და ყმაწვილის ზნეობრივად აღზრდას არავითარი ყურადღება არა აქვს მიქცეული. ეხლა შიში ჰზრდიან ყმაწვილს და კიდეც ამიტომ საკვირველი არ არის, თუ ბავშვი თავისს გონებაში ამბობს: „თუ არავინა გხედავს, რაც გინდა, ისა ჰქმენი, რისა გეშინიან, ხომ არავინ დაგსჯისო“.

აწინდელს ყმაწვილს მშობლები ადუხჭირებენ, მშობლები ჰრყვნიან თავისის განებიერებით. ოჯახში ტყუილი ჰმეფობს და ბავშვიც ტყუილს ეჩვევა. დედ-მამის გუნებაზეა დამოკიდებული ბავშვის ავად თუ კარგად ყოფნა. თუ დედა და მამა კაი გუნებაზედ არიან, ბავშვს უალერსებენ, უქოლიებენ, თუ არა-და, სცემენ და სჯიან; სულ ერთია, თუნდა მიზეზი ჰქონდეთ, თუნდა არა, არც ალერსია იმათი მიზეზზედ დამოკიდებული და არც რისხვა. როცა ატირებულისა და ან აყინებულის ყმაწვილის დაჩუმება უნდათ, აშინებენ, ატყუებენ და ამ ხერხით აჩუმებენ. რაღა საკვირველია, თუ ასეთის აღზრდის წყალობით ბავშვი ტყუილსა სწავლობს, თავის-ნება და გულ-ქვავი ჰხდება? სამართლიანად ამბობს კარნერი, რომ

ვისაც უნდა ცოლ-ქმრობის უღელი გასწიოს, ჯერ ამას უნდა დაეკითხნენ თავის თავს, მართლა ჭეშმარიტ და თავისს მახლობელთა მოყვარულ შვილების გაჩენა გსურსო, თუ არა? განათლებულს საზოგადოებას ოჯახი ჰბადავს. როგორი ზნეობაც ოჯახშია, სახელმწიფოშიაც ისეთი ზნეობა ჰმეფობს... გულ-უბრყვილო დედების კისრად არის მრავალთ-უმრავლეს უბედურ ოჯახის უბედურების ცოდვა. ვინ ამბობს, სამწუხაროა, თუ ყმაწვილს ქალს მთხოვნელი არა ჰყავს, მაგრამ განა ის უფრო სამწუხარო არ არის, როცა ქორწინება უბედურია? ამას როდი უფიქრდებიან. ან ამისთვის რად შეიტკიონ თავი? ასეთს ფიქრებს რომ გაჰყვნენ, მაშინ ხომ აღარ გათხოვდა ის ქალი, რომელსაც სისხლხორცად აქვს შეთვისებული, რომ უეჭველად უნდა გათხოვდეს და აკიდოს კისერზედ ვისმეო. ოღონდ ცოლ-ქმარს ქონების მხრივ უზრუნველად შეეძლოთ ცხოვრება და იმას აღარავინ დაგიდევს, შეუძლიან, თუ არა, ყმაწვილს ქალს ოჯახის უღლის წევა, იმდენად გონიერია, თუ არა, რომ ოჯახის ხელმძღვანელობას დაფიქრებით და გულდადებით მოეკიდოს, და საზოგადოდ ცოლ-ქმარნი ერთმანეთის შესაფერნი არიან, თუ არაო. არას დაგიდევენ და ყოველი ბოროტი-კი აქედგან წარმოსდგება, რადგან ქორწინებაა ოჯახის საფუძველი და საძირკველი...

სადაც რიგიანი ქორწინება არ არის და ცოლ-ქმარნი ერთმანეთის შესაფერნი არ არიან, იქ ვერც ყმაწვილები აღიზრდებიან კარგად. რომელ ოჯახშიაც ცოლ-ქმარს შორის სიყვარული არ არსებობს, იქ არც ზნეობა იქნება, და ზნეობა-მოკლებული ოჯახი-კი ზნეობრივად აბა როგორ აღზრდის შვილებს? ყოველთვის უნდა ახსოვდეს ადამიანს, რომ „მსგავსი მსგავსსა ჰშობს“ და

„კოკასა შიგან რაცა სდგას,
იგივე წარმოდინდების“...

**

მართლაც, დიდი უბედურებაა, როცა ცოლ-ქმარნი ერთის ჭკუა-გონებისა და ხასიათისანი არ შეჰხვდებიან ერთმანეთს. თავის გუნების ცოლი არა ჰყოლია ალბად ერთს ელისავეტოგრადელს მოქალაქესაც, რომელიც გაზეთებით აუწყებს ქვეყანას, რომ... უფროთხილდით ჩემს ცოლსაო. სწორედ კარგი საშუალება მოუგონია თავისის ცოლის მოსარჯულებლად. ელისავეტოგრადელი ქმარი გაზეთის განცხადებაში დიდის რიხით აცხადებს, რომ კმარა, ჩემის ცოლის მაგიერ აღარავის წინაშე პასუხის გებას არა ვკისრულობო.

ჩემს ცოლს, მარიამ ალექსანდრეს ასულს ს. ს., დიდად უყვარს ფლანგვა, ფულს სესხულობს ხოლმე სხვა-და-სხვათაგან ვექსილითა და ხარათით და, ოღონდ ფული იშოვნოს-და, მანეთზედ მანეთს ჰპირდება სარგებელს; ამას გარდა, დუქნებშიაც ნისიად იღებს საქონელს. დღევანდლამდე ცოლის ვალებს ვისტუმრებდი და ამასთან მოვასწავებს ვატყობინებდი, ნუღარას მისცემთ ჩემს ცოლსა-მეთქი, მაგრამ ზოგიერთმა ვაჭარმა ჩემს თხოვნას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და თავისი არ მოიშალა.

ვიმყოფები რა ასეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში, საჭიროდ მიმაჩნია, საჯაროდ გამოვაცხადო, რომ ჩემს ცოლს საკუთარი შეძლება არა აქვს-რა, და მეც, ჩემის მხრივ, აღარავისს ვალს არ გადავიხდი.

როტმისტრი მიხეილ ვასილის ძე ს. ს.

დიდად გვეცოდება საბრალო როტმისტრი და თანავუგრძნობთ კიდეც იმისს მწუხარებას. პირველი მაგალითია ასეთის განცხადების დაბეჭდვა ქმრის მიერ ცოლის შესახებ და დარწმუნებულნი ვართ, ბევრი მისთანავე გაჭირვებაში მყოფი ქმარი გადაუხდის მადლობას, რომ ეს მაგალითი უჩვენა და გზა გამოუნახა ხსნისა!..

## გასართობი

ვესტფალიის მეფედ ნამყოფს ჟერომ ბონაპარტეს „მუდამ მხიარულს“ ეძახდნენ. ჟერომი გამეფებამდე პარიჟში დიდს ქეიფებსა და ლხინებში იყო, ყველგან დადიოდა და დიდად ჰმეგობრობდა ახალგაზდა თავქარიანს მწერლებს. სწორედ იმ დღეს, როცა ვესტფალიის მეფედ იქმნა დანიშნული, „ვოდევილის“ თეატრთან ორს ახალგაზდა მწერალს შეჰხვდა.

— ოო, დიდად მესიამოვნა, რომ გნახეთ. იცით, ყმაწვილებო, რომ ვესტფალიის მეფედა ვარ დანიშნულიო? ჰკითხა ჟერომმა.

— ვიცით, თქვენო უდიდებულესობავ, და დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ...

— თუ ღმერთი გწამთ, მაგ კილოთი ლაპარაკს თავი დაანებეთ! ეგრე მაშინ ვილაპარაკოთ, როცა სამეფო სასახლეში ვიქნები, აქ-კი რა დროს წოდებათა გარჩევაა, როცა ერთად ხშირად გადაგვიკრავს. წავიდეთ ერთად.

ჟერომმა ორივ თავისი მეგობარი პალე-როიალის ერთს საუკეთესო სასტუმროთაგანში წაიყვანა და სწორედ სამეფო ვახშმის მოტანა უბრძანა. მეგობრებმა ბევრი იმასლაათეს, ბევრი იცინეს, სვეს და იმხიარულეს. როცა ღვინით შეხურდნენ, ჟერომმა დაიძახა.

— იცით რა, მეგობრებო? ჩვენ არ უნდა გავშორდეთ ერთმანეთს. გინდათ, ჩემთანვე წაგიყვანთ. შენ, კურტო, ჩემი საკუთარი მდივანი იქმნები და შენ-კი, ლაფორეტ, წიგნთსაცავის გამგედ გნიშნავ.

მეგობრები დასთანხმდნენ და შამპანურის ღვინით ჭიქები კვლავ აივსო. ბოლოს გაათავეს ვახშამი. წამოდგნენ. ვახშმის ფულის გადახდა ჟერომს უნდოდა, მაგრამ ჯერ მეფე არ იყო, ჯიბეში სულ ორი თუმანი აღმოაჩნდა და ვახშამი-კი ათ თუმნამდე ჰღირდა. ორივე მწერალმა გადმოაპირქავეს ქისები: ორი და ათი შაური ჰქონდათ. რა ჰქმნან ახლა! ღამის პირველს საათზედ სად იშოვნიან ფულს. ბოლოს სამივემ გადასწყვიტეს, რომ სასტუმროს პატრონი დავიბაროთ და ჩვენი გაჭირება გულ-ახდილად ვაღიაროთო. დაიბარეს, პატრონმა ვინაობა ჰკითხა.

— მე ვესტფალიის მეფის მდივანი გახლავართ.

— მე-კი იმავ მეფის წიგნთ-საცავის გამგე ვარ.

— ძალიან კარგიო, უპასუხა სასტუმროს პატრონმა დაცინვით, რადგან ეჭვი აიღო, ხომ არ მატყუებენო: მაშ ის მესამეც, როგორც გეტყობათ, თვით ვესტფალიის მეფე იქნება?

— მართალს ამბობო, უპასუხა ჟერომმა: სწორედ მეფე ვარ.

— ერიგიდიჰაა! აბა პოლიციაში წამობრძანდით, ვნახოთ იქ როგორი მეფე-ღა იქნებით.

— თუ ღმერთი გწამს, მაგ სირცხვილს ნუ გვაჭმევო, დაიძახა ჟერომმა: და, თუ არა გჯერა, ჩემს საათს დაგიტოვებ, სულ ცოტა, სამოც-ოთხმოცი თუმანი მაინცა ჰღირს,

ამ სიტყვებთანვე მეფემ სასტუმროს პატრონს გადასცა საუცხოვო საათი, ნაპოლეონის ნაჩუქარი, ბრილიანტის გვირგვინითა და ასოებით შემკული, და გამოვიდა სასტუმროდგან.

როცა ისინი წავიდნენ, სასტუმროს პატრონმა სინჯვა დაუწყო საათს, გადასწყვიტა, ალბად მოუპარავთ სადმეო, და პოლიციაში წარადგინა, ხათაბალა არა დამატყდეს-რა თავზედაო. პოლიციის უფროსმა ნაპოლეონის გვირგვინი იცნო, მაშინვე შინაგან საქმეთა მინისტრს გაუგზავნა და მინისტრი კიდევ იმპერატორთან წავიდა სენ-კლუში. მე-

ორე დღეს გაზ. „Moniteur“-ში ბრძანება გამოვიდა, რომ დაუყოვნებლივ გაემგზავროს ვესტფალიის მეფე თავისს საბრძანებელში და უფლება არა ჰქონდეს ვისისამე თანამდებობაზედ დანიშვნა, ვიდრე თავისს სიტახტო ქალაქში არ მივაო.

**

თავისის დროის ერთი უშესანიშნავესი ექიმთაგანი, გუფლანდი, როგორღაც გერმანიის ერთს ხელმწიფეთაგანს წარუდგინეს. ხელმწიფემ აქო ექიმბაში და დასასრულ უთხრა:

— თქვენ ისე წვლილადა გაქვთ შესწავლილი ადამიანის სხეულის აგებულება, რომ, უეჭველია, ყველა სატკივრის განკურნება შეგეძლებათო.

— თქვენო უდიდებულესობავო, უპასუხა მოსწრებულად გუფლანდმა: ექიმბაში შეიძლება ასასს შევადაროთ: ასასებსავით ჩვენც კარგად ვიცით ქალაქის ქუჩები, მაგრამ იმასკი, რაც ხდება შიგ სახლებში, მხოლოდ გონებით უნდა მივხვდეთო.

**

ქორწინება მაშინ არის კარგი, თუ ცოლი ქმართს უთმობს და ქმარი—ცოლსაო, ამბობდა ერთი გამოცდილი კაცი: მაგალითებრ, მე შვიდს საათზედ ადრე პურს ვერა ვჭამ, ხოლო რადგან ჩემი ცოლი ხუთს საათზეა სადილის ჭამას ჩვეული, ამიტომ პირობა დავდეთ, რომ ექვსს საათზედ ვჭამოთ პურიო. ამ გვარად სადილი მეც ჩაშხამებული მაქვს და ჩემს ცოლსაცაო.

## დეპეშა

19 ივლისს

ბერლინი. „Deutsche bank“-ში დიდი ბოროტ-მოქმედება აღმოუჩენიათ ერთის იქ მოსამსახურისა. ამ მოსამსახურეს მინდობილი ჰქონდა დამლების დასმა ბირჟაზედ მორიგების მოწმობაზედ. ბირჟის ერთს მოსამსახურეს პირობით შეეკრა თურმე და ბანკის მინდობილებას ბოროტად ჰხმარობდა, ბანკის სახელით პირობის წერილებს აძლევდა. ამ გვარად 5,270,000 მანათის პირობის წერილი გაუცია. ამის გამო ბანკს ერთ მილიონ მარკამდე უზარალნია.

პეტერბურგის ბირჟა, 19 ივლისს

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 55 | 7, 58 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 151³/₄ | 152¹/₂ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 09 | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 239 | — ,, | — ,, |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 228¹/₂ |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, , , , , | 210¹/₂ | — ,, | 212 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოსა, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყიზირიმისა და რუმელია ანატოლიისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოკა ფოთიდამ, ბათუმის საგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს კვირაზე გემები.

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**სამუნჯე**

**მეათე საუკუნისა**

წერილი

მოსე ჯანაშვილისა

იოანე ტბევრელ ეპისკოპოსის სურათითა და მეათე საუკუნის საგალობო ნიშნების ნიმუშებით.

**ფასი ერთი აბაზი**

(10—0—2)

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

**წიგნის მაღაზია**

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე ილებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—11)

**„სიჭაბუკის ცოდვა“**

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენციისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკოთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასჯილისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ლექსები, შეკრებილი ალნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამატიკა დამატებით გრამატიკურის და ლოღიკურის ანალიზებისა. . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცისა, ყდით . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის-მეტყველებას და ზნეობას ყდით. | „ | 50 |
| წამება, ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა, ყდით . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზდა ყმაწვილ-კაცთა. . . . | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე, საბინინისა, ოც-და-შვიდი სურათით. . . . . | 10 | „ |

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

**სამღებრო და ლაქის ამოსაყვანი ქარხანა**

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—2) ქარხანის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

**დ ა ნ ი ა**

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—5)

**საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა**

„ უ რ ბ ე ნ ი “ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“ 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფის დროს ანთავისუფლებს კვდიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი მაშა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თავ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

დებარება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზანებათ.

(20—16)

**საკომერციო კურსები**

**ქალებისა და ვაჟებისათვის**

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქმნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—3)


Дозв. ценз. Тифлисъ, 19-го Іюля 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21 რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე